დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება** - საერთაშორისო ურთიერთობები

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - **120 (ECTS)** კრედიტი, ხანგრძლივობა - **4** სემესტრი, სემესტრში - **30** კრედიტი.

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი**
   - **ომარ არდაშელია** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით
- საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო საგანი - **საერთაშორისო ურთიერთობები ახალ და უახლეს დროში**) **(საკითხები იხ.** http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=860)
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

7. პროგრამის მიზანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია დაფუძნებულია საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების, საქართველოს შიდა და გარე მოთხოვნილებათა რეგულაციასა და იმ საბაზრო მოთხოვნილებებზე, რომელიც ჩამოყალიბდა თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული მისიიდან გამომდინარე ჩვენი უნივერსიტეტი განახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას, რომლის მიზანია გაზარდოს კვალიფიცირებული სპეციალისტები ამ მიმართულებით, რომელთაც ექნებათ აღნიშნული სპეციალობისათვის აუცილებელი, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები სამაგისტრო დონეზე.

- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა მთლიანად ორიენტირებულია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მიმართულებებისა და მახასიათებლების შესწავლაზე, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებში.
- სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანი და ამოცანაა, მისცეს მაგისტრანტებს ღრმა ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა დამოუკიდებელი და პრაქტიკული მუშაობა, რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს ექნება სრული წარმოდგენა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ მიდგომებზე. ასევე საფუძვლიან ცოდნას საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ. საგანგებოდ გამხვილდება ყურადღება საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე და საქართველოს როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში. სტუდენტებს საშუალება ექნებათ სურვილის მიხედვით შეისწავლონ მეორე უცხო ენა. პროგრამას უძღვებიან კვალიფიცირებული სპეციალისტები, რომელთაც საერთაშორისო და დიპლომატიის დარგში სათანადო შრომები გააჩნიათ.
- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის საფუძველზე კურსდამთავრებულის მიერ გამომუშავებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები მთლიანად განსაზღვრავს მისი საქმიანობის სფეროს, როგორც სამეცნიერო (გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში), ისე პრაქტიკულ სფეროში: საგარეო ურთიერთობების, საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრების, ახალი ამბებისა და საინფორმაციო სამსახურებში და ა. შ.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც საფუძველს მისცემს ახალი ორიგინალური იდეების შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის. აქვს სათანადო ცოდნა, რათა ამ მიმართულებით შეძლოს ცალკეული პრობლემების გაცნობიერება და მოიძიოს მისი გადაჭრის გზები. კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დარგის ძირითადი მახასიათებლების, დარგის საერთო სტრუქტურისა და ქვედარგებს შორის ურთიერთკავშირის, დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიის, დარგის მთავარი პრინციპების, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და კონცეფციების, დარგში დანერგილი სიახლეების, კვლევის მეთოდებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის, ასევე სათანადო ეთიკური ნორმების შესახებ. დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში კურსდამთავრებულს აქვს ღრმა ცოდნა შემდეგ საკითხებში: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები, საერთაშორისო ორგანიზაციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთიერთობებში და ა. შ. მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევითი, ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია მსოფლიო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის უნარი; ევროპული მოვლენების განვითარებისა და ევროპული პოლიტიკის ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ჩარჩოებში ინტერპრეტირების უნარი.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრს შეუძლია ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება; აქვს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი, რაშიც მას დაეხმარება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები და პრაქტიკა, საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელ კვლევით ცენტრებში. მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განახორციელოს კვლევითი სამუშაო: პოლიტიკური ტექსტის დამუშავება, ანალიზი და ინფორმაციის სახით მიწოდება, იცნობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს და შესაბამისად აქვს ნებისმიერი პოლიტიკური ურთიერთობების ამ თეორიებზე პრაქტიკული მისადაგების უნარი. შეუძლია პრაქტიკულად გაარჩიოს რა არის საერთაშორისო ურთიერთობებში ჰიპოთეზა, მეთოდოლოგია და თეორია, პრაქტიკულად შეძლებს თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის რეგიონალური და დარგობრივი) თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის როლის განსაზღვრას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. შეუძლია ახალი და უახლოესი დროის საერთაშორისო ურთიერთობებში პარალელების მოძიებისა და სინთეზის მეთოდით შედეგზე ორიენტირება. აქვს საკვლევი ტექსტებისადმი კომენტარების დართვის უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით მასალის დამუშავების უნარი; დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი.

- **დასკვნის უნარი -** აქვს ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი. მათ შორის რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეძლებს ინფორმაციის ინოვაციურ ანალიზსა და სინთეზს.

- **კომუნიკაციის უნარი -** სტუდენტს აქვს საერთაშორისო ურთიერთობებში თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციის უნარი აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, როგორც ქართულ, ასვე უცხო ენაზე. კურსდამთავრებულს შეუძლია სპეციალიზირებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; აქვს საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი; საკუთარ და უცხო ენაზე წერის უნარი; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით; აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის ნორმების, საავტორო უფლებებისა და სტანდარტების დაცვის უნარი; შეუძლია კვლევითი სამუსაოს შესრულება საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

- **სწავლის უნარი -** საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და მისი სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; აქვს სხვადასხვა პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი, ახალ სიტუაციაში იოლად ადაპტირების უნარი; დარგობრივი კვლევების საფუძველზე მიღებული ახალი მეთოდების, მეცნიერული მიდგომებისა და სიახლეების შესწავლისა და ათვისების უნარი. შეუძლია საკუთარი სწავლის დონის შეფასება და შემდგომ ეტაპზე - დოქტორანტურაში სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

- **ღირებულებები** - აქვს თანამედროვე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი, შეუძლია ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. კურსდამთავრებულს შეუძლია თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა.

9. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				ლექტორი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 93 კრედიტი											
1.	*ინგლისური ენა (B2 - დონე)*	ENGL M 220	6	*50*	*100*	6				სსუ ასოცირებული პროფესორი **ინოლა აფაქიძე**	*წინაპირობის გარეშე*
2.	*ინგლისური ენა (დარგობრივი - საერთაშორისო ურთიერთობები)*	ENGL M 221	6	*50*	*100*		6			სსუ ასოცირებული პროფესორი **ინოლა აფაქიძე**	ENGL M 220
3.	*ინგლისური ენა (დარგობრივი)*	ENGL M 222	6	*50*	*100*			6		სსუ ასოცირებული პროფესორი **ინოლა აფაქიძე**	ENGL M 221
4.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	INRL M 202	6	*50*	*100*	6				სსუ ასოცირებული პროფესორი **დაზმირ ჯოჯუა**	*წინაპირობის გარეშე*
5.	საქართველო საერთაშორისო ურთიერთბებში ათასწლეულების მიჯნაზე	INRL M 203	6	*50*	*100*	6				სსუ პროფესორი **ზურაბ პაპასქირი**	*წინაპირობის გარეშე*
6.	ევროპის სამართალი	LAW M 262	3	*35*	*40*		3			სსუ პროფესორი **ვეფხვია გვარამია**	*წინაპირობის გარეშე*
7.	საერთაშორისო ურთიერთობები ახალ და უახლეს პერიოდში (მაგისტრატურის დონე)	INRL M 205	9	*90*	*100*			9		მოწვეული სპეციალისტი თსუ პროფესორი **თეიმურაზ პაპასქირი**	INRL M 202
8.	საერთაშორისო ორგანიზაციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთიერთობებში	INRL M 206	3	*35*	*40*			3		სსუ ასოცირებული პროფესორი **გურამ მარხულია**	INRL M 202
9.	ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები	INRL M 207	6	*50*	*100*		6			სსუ პროფესორი **ომარ არდაშელია**	INRL M 202
10.	*გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები 1991 – 2015 წწ.*	INRL M 222	6	*50*	*100*		6			სსუ ასოცირებული პროფესორი **გურამ მარხულია**	*წინაპირობის გარეშე*
11.	***პროფესიული პრაქტიკა/პროექტი***	INRL M 219	6	*105*	*45*			6		წინაპირობის გარეშე	
12.	***სამაგისტრო ნაშრომი***	INRL M 220	30	*65*	*685*				30	პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები	
პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები - 27 კრედიტი						12	9	6			

1.	სეპარატიზმის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში	INRL M 209	**3**	*35*	*40*					სსუ ასოცირებული პროფესორი **მერი გაბედავა**	*წინაპირობის გარეშე*
	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	INRL M 208	**3**	*35*	*40*					სსუ ასოცირებული პროფესორი **ემირ ეთერია**	*წინაპირობის გარეშე*
2.	გლობალიზაცია და ეროვნული ინტერესები	INRL M 210	**3**	*35*	*40*					სსუ ასოცირებული პროფესორი **დაზმირ ჯოჯუა**	*წინაპირობის გარეშე*
3.	აშშ საერთაშორისო ურთიერთობებში (1945 წლიდან დღემდე)	INRL M 211	**6**	*50*	*100*					მოწვეული სპეციალისტი თსუ პროფესორი **თეიმურაზ პაპასქირი**	*წინაპირობის გარეშე*
4.	აღმოსავლეთის საკითხი მე-18 - მე-20 სს. საერთაშორისო ურთიერთობებში	INRL M 212	**6**	*50*	*100*					სსუ პროფესორი **ომარ არდაშელია**	*წინაპირობის გარეშე*
5.	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა	INRL M 213	**3**	*35*	*40*					სსუ ასოცირებული პროფესორი **მერი გაბედავა**	*წინაპირობის გარეშე*
6.	რუსეთის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში	INRL M 214	**6**	*50*	*100*					სსუ ასოცირებული პროფესორი **გვანცა აბდალაძე**	*წინაპირობის გარეშე*
7.	ევროკავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში	INRL M 215	**6**	*50*	*100*					სსუ ასოცირებული პროფესორი **ნოდარ დარსანია**	*წინაპირობის გარეშე*
8.	საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები	INRL M 216	**6**	*50*	*100*					სსუ პროფესორი **ომარ არდაშელია**	*წინაპირობის გარეშე*
9.	დიპლომატიური მოლაპარაკებების ხელოვნება კონფლიქტების დროს	INRL M 224	**6**	*50*	*100*					მოწვეული, დოქტორი **ტარიელ სიხარულიძე**	*წინაპირობის გარეშე*
ს უ ლ - 120 კრედიტი						**30**	**30**	**30**	**30**		